

# ISET

International School of Economics at TSU  
Policy Institute

აგვისტო  
2022



ელექტოენერჯის  
ბაზრის მიმოხილვა



## ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი ენერჯეტიკისა და გარემოს დაცვის პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

### აკტორები:

მარიამ წულუკიძე  
უფროსის მოადგილე

✉ [m.tsulukidze@iset.ge](mailto:m.tsulukidze@iset.ge)

გურამ ლობჯანიძე  
მკვლევარი

✉ [guram.lobzhanidze@iset.ge](mailto:guram.lobzhanidze@iset.ge)

ერეკლე შუბითიძე  
მკვლევარი

✉ [erekle.shubitidze@iset.ge](mailto:erekle.shubitidze@iset.ge)

## მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- 2022 წლის აგვისტოში ელექტროენერჯის გამომუშავება წლიურად 16%-ით გაიზარდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი 7%-ით გაიზარდა.
- ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 4%-ით გაიზარდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი - 5%-ით გაიზარდა.
- მოხმარებამ გამომუშავებას 195 მლნ კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც 2022 წლის აგვისტოსთვის სრული წარმოების 14%-ია.
- აგვისტოში იმპორტი არ განხორციელებულა.
- წლიური ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა წინა წელთან შედარებით
- 2022 წლის აგვისტოში საქართველოს მთავარი საექსპორტო პარტნიორი თურქეთი იყო.
- ექსპორტის ფასი 6.50 ცენტი, ან 18.03 თეთრია ერთ კილოვატსაათზე.
- 2022 წლის აგვისტოში, საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების ბაზრის HHI ინდექსმა მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს გადააჭარბა და 4,656-ს მიაღწია.
- საქართველოს ელექტროენერჯის მოხმარების ბაზრის HHI მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ დარჩა. 2022 წლის აგვისტოში ინდექსის მნიშვნელობამ 2,140 შეადგინა.

## შემოკლებები

მლნ	მილიონი
კვტსთ	კილოვატსაათი
ჰენი	ჰიდროელექტროსადგური
თენი	თბოელექტროსადგური
HHI	ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი
თელმიკო	თბილისის ელექტრომიწოდებელი კომპანია
ეპ ჯორჯია	ეპ ჯორჯია მინოდებისთვის


**წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა**

2022 წლის აგვისტოში საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში 1,401 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია გამოიმუშავა (დიაგრამა 1). აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, სრული წარმოების 16%-იან ზრდას წარმოადგენს (2021 წლის აგვისტოში სრული წარმოება 1,203 მილიონი კილოვატსაათი იყო). წარმოების წლიური ზრდა ჰიდროელექტროსადგურების (+13%), თბოელექტროსადგურებისა (+38%) და ქარის ელექტროსადგურების (+71%) გამომუშავების ზრდამ განაპირობა.

თვიურ კრილში, წარმოება, დაახლოებით, 7%-ით გაიზარდა (2022 წლის ივლისში სრული წარმოება 1,308 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა) (დიაგრამა 1). წარმოების თვიდან თვემდე ზრდა თბოელექტროსადგურების გამომუშავების მნიშვნელოვან ზრდასა (თბოელექტროსადგურების წარმოება 83-ჯერ გაიზარდა) და ქარის ენერჯის ზრდას (+19%) უკავშირდება, მაშინ როდესაც ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავება შემცირდა (-11%).

ელექტროენერჯის მოხმარებამ ადგილობრივ ბაზარზე 1,206 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა (4%-ით მეტი 2021 წლის აგვისტოსთან შედარებით და, 5%-ით მეტი 2022 წლის ივლისთან შედარებით) (დიაგრამა 1). 2022 წლის აგვისტოში ენერჯის წარმოებამ მოხმარებას 195 მილიონი კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც შეადგენდა სრული წარმოების 14%-ს და სრული მოხმარების 16%-ს (2021 წლის აგვისტოში წარმოებასა და მოხმარებას შორის სხვაობამ 39 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, რაც თვის განმავლობაში სრული წარმოების დაახლოებით 3%-ს და სრული მოხმარების 3%-ს გაუტოლდა).


**დიაგრამა 1 - ელექტროენერჯის მოხმარება და გამომუშავება**



წყარო: ესკო

წარმოების უდიდესი წილი ჰიდროელექტროსადგურებზე (ჰესი) მოდის. 2022 წლის აგვისტოში ჰესების მიერ ელექტროენერჯის წარმოება 1,153 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა (სრული წარმოების 82%), ქარის ენერჯის წარმოება 9 მილიონ კილოვატსაათს (სრული გამომუშავების 1%), ხოლო თბოელექტროსადგურების (თესი) გამომუშავება კი 238 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა (სრული გამომუშავების 17%) (დიაგრამა 2).


**დიაგრამა 2** - ელექტროენერჯის გამომუშავება წყაროების მიხედვით



წყარო: ესკო

ჰიდროელექტროსადგურებს შორის მსხვილმა (მარეგულირებელმა) ჰესებმა ელექტროენერჯის 69% გამოიმუშავეს (800 მილიონი კილოვატსაათი), ხოლო სეზონურმა და მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებმა, შესაბამისად, – 26% (299 მილიონი კილოვატსაათი) და 5% (54 მილიონ კილოვატსაათი) (დიაგრამა 3).


**დიაგრამა 3** - ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავება ტიპის მიხედვით



წყარო: ესკო

თბოელექტროსადგურებს რაც შეეხება, გარდაბანი 1-მა გამოიმუშავა 76 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია (თბოელექტროსადგურების გამომუშავების 32% და ჯამური გამომუშავების 5%), ხოლო გარდაბანი 2-მა გამოიმუშავა 146 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 61% და ჯამური გამომუშავების 10%). თბოელექტროსადგურების გამომუშავების დარჩენილი 7% გამოიმუშავა მტკვრის, თბილსრესის და აირტურბინის თბოელექტროსადგურებმა (დიაგრამა 4).


**დიაგრამა 4** - დიდი თბოელექტროსადგურების წილი მთლიან გამომუშავებაში



წყარო: ესკო


რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურებიდან (ჰესი) წარმოებულ ენერჯიას, ვარდნილჰესმა 101 მილიონი კილოვატსაათი ენერჯია გამოიმუშავა (მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ენერჯიის 13% და სრული წარმოების 7%). ენგურჰესმა 568 მილიონი კილოვატსაათი გამოიმუშავა, რაც მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ელექტროენერჯის 71%-ს და სრული წარმოების 41%-ს შეადგენს (დიაგრამა 5).

**დიაგრამა 5** - ენგურისა და ვარდნილის წილი სრულ გამომუშავებაში



წყარო: ესკო

საერთო ჯამში, სრული გამომუშავება 2021 წლის აგვისტოსთან შედარებით 16%-ით გაიზარდა (დიაგრამა 6).



წყარო: ესკო


ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგო-პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯია<sup>1</sup> (36% – 433 მილიონი კილოვატსაათი), აფხაზეთი (17% – 206 მილიონი კილოვატსაათი), თელასი/თელმიკო<sup>2</sup> (22% – 270 მილიონი კილოვატსაათი) და პირდაპირი მომხმარებლები (25% – 296 მილიონი კილოვატსაათი) (დიაგრამა 6). წლიური მოთხოვნა ენერგო-პროსგან, თელასისა და აფხაზეთისგან, შესაბამისად, 11%-ით, 8%-ით და 10%-ით გაიზარდა<sup>3</sup>, ხოლო პირდაპირი მომხმარებლებისგან - 11%-ით შემცირდა. საერთო ჯამში, 2022 წლის აგვისტოში ელექტროენერჯის მოხმარებამ წლიურად 4%-ით მეტი შეადგინა 2021 წლის აგვისტოს მოხმარებასთან შედარებით (დიაგრამა 8).

<sup>1</sup> ენერგო-პრო ჯორჯიამ 2017 წლის სექტემბერში კახეთი ენერჯი დისტრიბუშენი შეიძინა.

<sup>2</sup> 2021 წლის ივლისიდან, ელექტროენერჯის ბაზრის ახალი მოდელის შემოღების შემდეგ, განაწილებისა და საბოლოო მიწოდების ფუნქციები გაიმიჯნა. შედეგად, მივიღეთ სამი ტიპის მოთამაშე ბაზარზე: განაწილების ლიცენზიანტები - განაწილებაზე და განაწილებისას არსებულ დანაკარგზე პასუხისმგებლები; უნივერსალური სერვისის მიმწოდებლები - საყოფაცხოვრებო სექტორისა და მცირე კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები; და საჯარო სერვისის მიმწოდებლები - საშუალო და მსხვილი კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები. ამჟამად ენერგო-პრო ჯორჯია და თელასი ანაწილებენ ელექტროენერჯას, ხოლო ეპ ჯორჯია და თელმიკო მათ გამოეყვნენ და ორივე გახდა უნივერსალური და საჯარო სერვისის მიმწოდებელი.


<sup>3</sup> პირდაპირი მომხმარებლების მოთხოვნის ზრდა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ [ახალი რეგულაციის](#) მიხედვით (მიღებული 2020 წლის აპრილში და ძალაში შესული 2021 წლის ივლისში), კომპანიები, რომლებიც თვეში მოიხმარენ 0.4 მილიონ კილოვატსაათზე მეტ ელექტროენერჯას, ვალდებული არიან ელექტროენერჯა პირდაპირ შეიძინონ.

**დიაგრამა 7** - ელექტროენერჯის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით



წყარო: ესკო

**დიაგრამა 8** - ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ესკო

2022 წლის აგვისტოში საქართველოში იმპორტი არ ყოფილა (2021 წლის აგვისტოს 9 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განხორციელდა) (დიაგრამა 9). 2022 წლის აგვისტოში საქართველომ 140 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯის ექსპორტი განხორციელა, საიდანაც 100% თურქეთში გავიდა (2021 წლის აგვისტოში ექსპორტი თითქმის არ ყოფილა) (დიაგრამა 10). 2022 წლის აგვისტოში განხორციელდა 354 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთში (2021 წლის აგვისტოში განხორციელდა 71 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი

რუსეთიდან თურქეთში, 61 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი რუსეთიდან სომხეთში და 55 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთში).


2021 წლის აგვისტოსთან შედარებით, იმპორტი 100%-ით შემცირდა, ხოლო ექსპორტი 6345-ჯერ გაიზარდა (ექსპორტის დონე ძალიან დაბალი იყო 2021 წლის აგვისტოში).

**დიაგრამა 9** - იმპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო

**დიაგრამა 10** - ექსპორტი წლების მიხედვით




წყარო: ესკო




2022 წლის ელექტროენერჯის ექსპორტი 22%-ით გაიზარდა 2022 წლის ივლისთან შედარებით (დიაგრამა 12). 2022 წლის აგვისტო ზედიზედ მეოთხე თვეა, რომელიც გამომუშავების მოხმარებაზე სიჭარბით ხასიათდება.

**დიაგრამა 11** - იმპორტი თვეების მიხედვით



წყარო: ესკო

**დიაგრამა 12** - ექსპორტი თვეების მიხედვით




წყარო: ესკო

## 1. საბაზრო ოპერაციები

2022 წლის აგვისტოში ადგილობრივ ბაზარზე გაყიდული ელექტროენერჯის 90% პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით გაიყიდა. დარჩენილი 10% კი – საბალანსო ელექტროენერჯის სახით (დიაგრამა 13).


**დიაგრამა 13** - შესყიდულ/გაყიდულ ელექტროენერჯიაში პირდაპირი კონტრაქტებისა და საბალანსო ელექტროენერჯის წილი



წყარო: ესკო

2022 წლის აგვისტოში საბალანსო ელექტროენერჯის შეწონილი საშუალო ფასი იყო 15.23 თეთრი კილოვატსაათზე, რაც წლიური კლების 5%-ს შეესაბამება 2021 წლის აგვისტოსთან შედარებით. რაც შეეხება საშუალო შეწონილ ფასს დერეგულირებული (მცირე სიმძლავრის) ჰესებისთვის, ის 1.86 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე, რაც 2021 წლის აგვისტოს მონაცემის იდენტურია (დიაგრამა 14).


**დიაგრამა 14** - საბალანსო ელექტროენერჯის ფასების შეწონილი საშუალო და დერეგულირებული ჰესების ფასის შეწონილი საშუალო



წყარო: ესკო

2022 წლის აგვისტოში, გარანტირებული სიმძლავრის ჯამური ხარჯი, დაახლოებით 6.23 მილიონი ლარი იყო, რაც წარმოადგენს 168%-იან ზრდას 2020 წლის აგვისტოსთან შედარებით. 2021 წლის აგვისტოს მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი (დიაგრამა 15).


**დიაგრამა 15** - გარანტირებული სიმძლავრის ხარჯი



წყარო: ესკო

2022 წლის აგვისტოში ელექტროენერჯის ექსპორტის ფასი 6.50 ცენტი, ან 18.03 თეთრი იყო (დიაგრამა 16).

**დიაგრამა 16** - იმპორტისა და ექსპორტის ფასები




■ იმპორტის შეწონილი ფასი    ■ ექსპორტის შეწონილი ფასი

წყარო: ესკო


2022 წლის აგვისტოში იმპორტი არ ყოფილა, ამიტომ, ფასის შეფასებაც შეუძლებელია(დიაგრამა 17).

**დიაგრამა 17** - იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



2022 წლის აგვისტოში ელექტროენერჯის ექსპორტის ფასი თურქეთში 6.50 ცენტს ან 18.03 თეთრს შეადგენდა (დიაგრამა 18).


**დიაგრამა 18** - ექსპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



## 2. ბაზრის კონცენტრაცია


დაბოლოს, ვიყენებთ ჰირშმან-ჰერფინდალის (HHI) ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო წლის განმავლობაში ბაზარზე ენერჯის გამომუშავებისა და მოხმარების სეგმენტები. 2022 წლის აგვისტოში საქართველოს ელექტროენერჯის გამომუშავების ბაზარი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული დარჩა და HHI ინდექსი 4,656 ერთეულს გაუტოლდა (დიაგრამა 19). აღნიშნული კი 2021 წლის აგვისტოს მონაცემსა (HHI 4,469 ერთეული) და 2022 წლის ივლისის მაჩვენებელზე (HHI 3,204 ერთეული) მაღალია. რაც შეეხება მოხმარების სეგმენტს, 2022 წლის აგვისტოში HHI მოხმარების ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე დაბლა შენარჩუნდა და მაჩვენებელი 2,140 ერთეულს გაუტოლდა (2021 წლის აგვისტოს მაჩვენებელსა (1,958) და 2022 წლის ივლისის მაჩვენებელზე (1,954) მაღალი). რეალურად, 2020 წლის სექტემბერი ბოლო თვე იყო, როდესაც ინდექსის ნიშნული მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე მაღალი იყო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბაზარზე კონკურენცია იზრდება. მას შემდეგ კი, მოხმარების საბაზრო კონცენტრაციის მხრივ, წლიურად დადამავალი ტენდენცია აღინიშნება (დიაგრამა 20).

**დიაგრამა 19** - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის გამომუშავებისთვის



წყარო: ესკო

**დიაგრამა 20** - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის მოხმარებისთვის



წყარო: ესკო